N215 2015 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

ნ. გოგილიძისათვის „ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ლისაბონის შეთანხმების ახალი აქტისა“ და ახალი აქტის რეგულაციების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარეს ნიკოლოზ გოგილიძეს მიენიჭოს „ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ლისაბონის შეთანხმების ახალი აქტისა“ და ახალი აქტის რეგულაციების ხელმოწერის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**